ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3713176

ნომერი: AR1561644

თარიღი : 30.11.2017

გაცემის თარიღი : 01.12.2017

გაცნობის თარიღი : 01.12.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 64 / ქალაქი თბილისი , ილია ჭავჭავაძის გამზირი , N 66-ის მიმდებარედ , (ნაკვეთი N2/14) / ქალაქი თბილისი , ილია ჭავჭავაძის გამზირი , N 66-ის მიმდებარედ , (ნაკვეთი N2/18) / ქალაქი თბილისი , ილია ჭავჭავაძის გამზირი , N 66-ის მიმდებარედ , (ნაკვეთი N2/19) / ქალაქი თბილისი , გამზირი ჭავჭავაძე , N 66 , (ნაკვეთი N2/24) / ქალაქი თბილისი , გამზირი ჭავჭავაძე , N 66 , (ნაკვეთი 2/25) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ანზორ პაპაშვილი პ/ნ 01008007463
- თბილისი ა.ერისთავ-ხოშტარიას ქ. N 18 ბ. 7

ორგანიზაცია:

- შპს " ჭავჭავაძის 64ა" კოდი: 404890908

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 13 აპრილის №2540850 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 30 ნოემბერის №AR1561644 განცხადებით მომართა ანზორ პაპაშვილმა და მოითხოვა, ამავე სამსახურის 2016 წლის 13 აპრილის №2540850 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 13 აპრილის №2540850 ბრძანებით შეთანხმდა, ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ.N64-ში / ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. N66-ის მიმდებარედ (ნაკვ. N2/14) / ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N66-ის მიმდებარედ (ნაკვეთი N2/18)/ ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N66-ის მიმდებარედ (ნაკვეთი N2/19) / ქ. თბილისი ჭავჭავაძის გამზ. N66 -ში (ნაკვ. N2/24)/ ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N66 -ში (ნაკვ. N2/25), შპს ,,ჭავჭავაძის 64ა"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე ს/კ: №01.14.11.002.035 მრავალფუნქციური დანიშნულების ობიექტის – სასტუმრო (,,ა" ბლოკი) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 13 აპრილიდან 2017 წლის 13 ოქტომბრის ჩათვლით.

წარმოდგენილი განცხადებით, სამსახურის 2016 წლის 13 აპრილის №2540850 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა და განმარტავს, რომ საოფისე ფართობად უნდა დაფიქსირდეს 486.31 კვ.მ ნაცვლად 493.5 კვ.მ-სა, კომერციულ ფართობად დაფიქსირდეს 351.63 კვ.მ ნაცვლად 351.6 კვ.მ-სა, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად უნდა დაფიქსირდეს 2716.58 კვ.მ ნაცვლად 2710.0 კვ.მ-სა, დამხმარე ფართობად უნდა დაფიქსირდეს 1830.64 კვ.მ ნაცვლად 1827.1 კვ.მ-სა, სასტუმროს ნომრების ფართობად უნდა დაფიქსირდეს 4411.25 კვ.მ ნაცვლად 4416.1 კვ.მ-სა და საერთო ფართობად უნდა დაფიქსირდეს 13398.93 კვ.მ ნაცვლად 13400.8 კვ.მ-სა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

სამსახურმა გამოიკვლია 2017 წლის 30 ნოემბერის №AR1561644 განცხადებით წარმოდგენილი მოთხოვნა, შეადარა 2016 წლის 13 აპრილის №2540850 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ტექნიკური ხარვეზის გასწორება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:

1. გასწორდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 13 აპრილის №2540850 ბრძანების ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებული ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: საოფისე ფართობად დაფიქსირდეს 486.31 კვ.მ; კომერციულ ფართობად დაფიქსირდეს 351.63 კვ.მ; კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად დაფიქსირდეს 2716.58 კვ.მ; დამხმარე ფართობად დაფიქსირდეს 1830.64 კვ.მ; სასტუმროს ნომრების ფართობად დაფიქსირდეს 4411.25 კვ.მ; საერთო ფართობად დაფიქსირდეს 13398.93 კვ.მ.

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 13 აპრილის №2540850 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 13 აპრილის №2540850 ბრძანებასთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.